



ფსიქოლოგია

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №4 (112) 28 აპრილი 2017 წელი

სტუდენტური კორეობრაფიული ფორუმ-ფესტივალი

სტუდენტური კორეობრაფიული ფორუმ-ფესტივალი

Ten Sichore

„ტარფსიჰორა“

„დურუჯის“ ეს ნომერი ცეკვის საერთაშორისო დღეს ეძღვნება, რომელსაც მსოფლიო 29 აპრილს აღნიშნავს. ამ დღესთან დაკავშირებით თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება ქორეოგრაფიული ფორუმ-ფესტივალი „ტერფსიჰორე“, რომელიც მრავალ სტუდენტურ აქტივობას ასანავს: სამეცნიერო კონფერენცია ქორეოლოგიაში, საკონცერტო ჩვენებები, თემატური გამოფენები, ცეკვის მასტერკლასები და ახალი გამოცემების პრეზენტაციები. წლებგანდელი ფორუმ-ფესტივალის ფარგლებში გაზეთ „დურუჯისთვის“ მომზადდა ინტერვიუები ქორეოგრაფიის დარგში მოღვაწე სპეციალისტებთან, ქორეოგრაფ-ქორეოლოგებთან. რესპონდენტები აირჩიეს და ინტერვიუები ჩაწერეს ქორეოგრაფიული მიმართულების მაგისტრანტებმა (ტექსტების რედაქტორი – ნათიშენა ღამჩიძე).

ანანო სამსონაძე – პროექტის კურატორი
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი



გზა პარსკვლავამდე

ინტერვიუ რეზო ჭანიშვილთან

„წუთია წუთისოფელი“ – გვასწავლის ქართული სიბრძნე და გვაფიქრებს ცხოვრების ხანმოკლეობაზე. რამდენის გაკეთებას მოასწრებს ადამიანი ერთი სიცოცხლის განმავლობაში? თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან ბევრის და ზემოთ ნახსენები ქართული გამონათქვამიარცძალიანდაგვალენებს. აღნიშნული სიტყვების დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ადამიანი, რომელსაც ბევრი კარგი საქმე გაუკეთებია ცხოვრების

განმავლობაში და დღესაც დაუღალავად იღვწის. იგი გახლავთ ღვაწლმოსილი მოცეკვავე, ქორეოგრაფი, რამდენიმე ანსამბლის დამაარსებელი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ქორეოგრაფიულ მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, „ღირსების მედლის“, „ღირსების ორდენის“ კავალერი, „ქართული კულტურის ამბადარი“, „საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების ორდენის“ და „რანდის ორდენის“ მფლობელი, მრავალი საერთაშორისო ოლიმპიადის, ფესტივალისა და კონკურსის გამარჯვებული და ლაურეატი, მსოფლიოსა და საქართველოს რამდენიმე ქალაქის საპატიო მოქალაქე და არაერთი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

უარყო ქართული სიბრძნის ჭეშმარიტება, რთულია, ხოლო მიაღწიო ჩამოთვლილ სიკეთებს, ეს ნამდვილად რჩეულთა ხვედრია. გამორჩეული პიროვნების ნიჭია ღირსეულად ემსახურო არჩეულ პროფესიულ საქმიანობას, ხალხს, ქვეყანას და, იმავდროულად, ხალხიც და ქვეყანაც სათანადო სიყვარულით გასასუხობდეს. ამაზე დიდი ბედნიერება სხვა რა უნდა იყოს? სწორედ ამ ბედნიერების მფლობელი გახლავთ ურთიერთობაში უშუალო, შინაგანი კულტურითა და ღირსებით მდიდარი ადამიანი, რევაზ ჭანიშვილი.

– ბატონო რეზო, როდის დაუკავშივრდა თქვენს ცხოვრება ქართულ ცეკვას?

– დავიბადე ქობულეთში, მაგრამ გავიზარდე ბათუმში. ალბათ, ვიქნებოდი 5-6 წლის. იმ ეზოში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით მდებარეობდა ქალაქის კულტურის სახლი. პატარა შენობა იყო, მაგრამ მხატვრულ შემოქმედებას ფართოდ ჰქონდა ფრთები გაშლილი, განსაკუთრებით ცეკვის წრე გამოირჩეოდა. ხელმძღვანელი იყო კარგად ცნობილი ქორეოგრაფი გივი ჩიხლაძე, ჩემი ქართული ცეკვის პირველი პედაგოგი. როდესაც კულტურის სახლში რეპეტიციები იწყებოდა, ჩვენ, ბავშვები, ავძვრებოდით მეორე სართულის ფანჯრებზე, დავსდებოდით მერცხლებივით და ვუყურებდით ცეკვის რეპეტიციებს, ჩვენთვის კი კარგი იყო, თავს ვიქცევდით ყურებით, მაგრამ მოცეკვავეებს ყურადღებას ვუფანტავდით, ეს კი, ხელს უშლიდა ანსამბლის რეპეტიციის მსვლელობას. გივი ჩიხლაძემ რამდენჯერმე გაგვაფრთხილა – ხელი არ შეგვეშალა. მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდით ბატონი გივის მკაცრი ხასიათი, ეს უკანასკნელი დაბრკოლებად ვერ იქცეოდა ქართული ცეკვის მიმართ ჩვენი დაუოკებელი უყურებლობა.

ერთ მშვენიერ დღეს, ბატონმა გივიმ შეგვკრიბა ბავშვები და გვითხრა: თუ აღარ ავიდოდით მეორე სართულის ფანჯრებზე, წაგვიყვანდა პიონერთა სახლში, სადაც ბატონი გივი ასევე მუშაობდა ქორეოგრაფად და იქ ჩაგვრიცხავდა ქართული ცეკვის მოსამზადებელ ჯგუფში. ამით მოგვეცა შესაძლებლობა არა მხოლოდ ცეკვის მაყურებლები ვყოფილიყავით, არამედ თავადაც გვეცეკვა. სწორედ ბატონი გივის დამსახურებაა, რომ ჩემი ცხოვრება

დაუკავშირდა ქორეოგრაფიას და ქართული ცეკვის შესწავლას.

– სიტყვამ მოიტანა და უნდა ჰქონდეს თუ არა ქორეოგრაფს უმაღლესი განათლება?

– ცეკვას განათლება სჭირდება. გაუნათლებელი ადამიანი ვერ იქნება ვერც ცეკვის მასწავლებელი და ვერც ქორეოგრაფი. საქართველოში ადრე, 1992 წლამდე, უმაღლესი ქორეოგრაფიული განათლების მიღების საშუალება არ იყო. თბილისში არსებობდა კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი, სადაც ფუნქციონირებდა ქორეოგრაფიული განყოფილება. სწორედ აქ დებულობდნენ სტუდენტები ქორეოგრაფიულ განათლებას. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ სასწავლებელში ასწავლიდნენ ისეთი გამოჩენილი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ: დავით ჭავჭავაძე, ლილი გვარამაძე, კონსტანტინე მანჯგალაძე, ჯანო ბაგრატიონი, ბუნუტი (გიორგი) დარახველიძე, ანტონ ჩიხლაძე, გივი ოდიკაძე და ა.შ... ახლა კი, საბედნიეროდ, ყოფილი კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის, დღესდღეობით კი, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქორეოგრაფიულ მიმართულებაზე უმაღლესი განათლების მიღების საშუალება გვაქვს. ქორეოგრაფიული კათედრის ერთ-ერთი დამფუძნებელი მეც გახლავართ. როგორც ცნობილია, ქორეოგრაფიული კათედრა თავდაპირველად კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა. უნივერსიტეტს ხელმძღვანელობდა დიდებული ადამიანი, საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი და

◀ 2 გვ.

მამულიშვილი, ბატონი თემურ ჟღენტი. მისი დიდი სურვილი იყო შექმნილიყო უნივერსიტეტი, სადაც იარსებებდა ქორეოგრაფიული კათედრა. ამ უკანასკნელის დამსახურებაა მრავალი წარმატებული მოცეკვავის, ქორეოგრაფის და ქორეოლოგის აღზრდა. თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში იბეჭდება მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, გამოიცემა წიგნები. ბევრად მეტი გაკეთდებოდა შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფის შემთხვევაში. ხოლო რაც გაკეთდა, იმსახურებს დადებით შეფასებას. მემამულებს, რომ ჩვენ კათედრას ემსახურებოდნენ და ემსახურებიან უნიჭიერესი ადამიანები. მის დაარსებაში დიდი როლი ითამაშეს: ბესიკ სვანიძემ, უჩა დვალისვილიმა, ჯანო ჯანიაშვილიმა, გულიკო სიხარულიძემ, ფრიდონ სულაბერიძემ, მანანა აბაზაძემ და ქორეოგრაფიული ხელოვნების სხვა დედაწმომოსილმა პროფესიონალებმა.

– როგორც ცნობილია, „ქორეოგრაფთა შემოქმედებით კავშირს“ აქვს სერთიფიცირების პროგრამა დიპლომის არმქონე ქორეოგრაფთათვის.

– დავუშვათ, არ აქვს ქორეოგრაფობის მსურველს უმაღლესი ქორეოგრაფიული განათლება, მაგრამ აქვს პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც რომელიმე სახელმწიფო აკადემიურ ან მუნიციპალურ ანსამბლში მიიღო, ასევე ცდილობს მიიღოს თვითგანათლება თეორიულ სფეროში და მას სურს ასწავლოს სკოლაში ცეკვა. ასეთ შემთხვევაში ისინი გადიან გადასამზადებელ კურსს სერთიფიცირების პროგრამის ფარგლებში.

სირთულესთანაა დაკავშირებული. კავშირთან არსებული სერთიფიცირების კურსები კი ეხმარება დამწყებ და მოქმედ ქორეოგრაფებს, რომლებიც უკვე მოღვაწეობენ ამ სფეროში, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავების თვალსაზრისით.

– თქვენი რჩევა დამწყებ და მოქმედ ქორეოგრაფებს.

– ვინც ნაბიჯს დგამს დიდ ქორეოგრაფიულ ოჯახში, უნდა იცოდეს, რომ ეს არ არის ია-ვარდით მოფენილი ხელოვნება. იგი ძალიან დიდ შრომასა და წინააღმდეგობასთან არის დაკავშირებული. თუ შენს სიცოცხლეს მიუძღვნი ქართულ ქორეოგრაფიას, მაშინ შესაბამისი მოთხოვნები უნდა წაუყენო საკუთარ თავს. დამწყები ქორეოგრაფი უნდა ფლობდეს პედაგოგიკურ უნარ-ჩვევებს, სპეციფიკურ ქორეოგრაფიულ მოთხოვნებს, მაგალითად: ერთი შეხედვით, მარტივი საქმე – დარბაზის განათება, ტემპერატურა და მასთან შესაბამისი ჩაცმულობა, სისუფთავე, უნდა იცოდეს, როგორ ააწყოს ცეკვის გაკვეთილი: ვარჯიში ძელთან და შუა დარბაზში. ყოველივე ეს ელემენტარულად უნდა იცოდეს, თუმცა ძალზე მნიშვნელოვანია.

– ბატონო რეზო, თქვენი აზრით, რა თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს ქართული ცეკვის შემსრულებელი?

– პირველ რიგში, უნდა გიყვარდეს შენი ქვეყანა და აქედან გამომდინარე, გიყვარდეს შენი ცეკვა. მოცეკვავე სწორედ აქედან უნდა ზომავდეს ყველაფერს, მაშინ სულ სხვაა მონდომება და საკუთარი თავისადმი მოთხოვნილებაც



ქორეოგრაფთა შემოქმედებით კავშირთან მოქმედებს 1-წლიანი სერთიფიცირების კურსი, რა თქმა უნდა, ეს არ არის უმაღლესი განათლება, მაგრამ იძლევა იმ აუცილებელ მინიმუმს, რაც ქორეოგრაფისთვის აუცილებელია. ყველა ვერ განდებს ქორეოგრაფიული განხრით სტუდენტი, მაგისტრანტი ან დოქტორანტი, რადგან ბევრ

განსაკუთრებულია.

– თქვენი მოსაზრება თანამედროვე ქართულ ქორეოგრაფიაზე.

– ყველაფერი ვითარდება, ყველაფერი მოძრაობს, ის, რაც არ ვითარდება და არ მოძრაობს, კვდება. მიუხედავად ამისა, ქართული ქორეოგრაფია

➤ 4 გვ.



◀ 3 გვ.

მსოფლიომ გაიცნო ქართული საცეკვაო ფოლკლორით. მაგრამ, როგორ შეძლებს ადამიანი ეს განავითაროს ისე, რომ ამ წრეში იბრუნოს. დავუშვათ ამ წრეში ჩავსვათ ოთხკუთხედი. იზრდება თანამედროვე მოთხოვნილებები, იზრდება კვადრატი და შესაბამისად წრეც, ეს ყოველივე ინარჩუნებს თავის ფორმასა და შინაარსს, აქედან გამომდინარე, თანამედროვე საცეკვაო პლასტიკა და ქართული ხალხური ქორეოგრაფია უნდა დავაშორიშოროთ ერთმანეთს.

- რას მიიჩნევთ თქვენს განსაკუთრებულ წარმატებად?

- ერთი რომელიმეს გამოყოფა გამიჭირდება. ჩემთვის ყველა წარმატება მნიშვნელოვანია, მაგალითად: ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ჩამოყალიბება ბატონ ჯემალ ჭკუასელთან ერთად, ქუთაისის ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო სკოლა-სტუდიის დაარსება, რომლის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელიც მე გახლდით.

შემოქმედებითი წარმატებაა ისიც, რომ ჩემი აღზრდილები დღეს საქართველოში წამყვანი მოცეკვავეები და ქორეოგრაფები არიან. გახლავართ 8 წიგნის ავტორი, მზად მაქვს გამოსაცემად ნაშრომი სახელწოდებით - „საქართველოს ქორეოგრაფია დასაბამიდან მსოფლიო აღიარებამდე“. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ვხელმძღვანელობდი ანსამბლ „მერანს“, რომელიც 34 წელია ფუნქციონირებს და 1000-ზე მეტი კონცერტი აქვს გამართული, რომელიც საგასტროლოდ მწვეყანაშია ნამყოფი.

ამბობენ, რომ წარმატებულია ჩემი მოღვაწეობა სხვადასხვა მიმართულებით: როგორც მოცეკვავის - აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, როგორც ქორეოგრაფის - ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ახლა - უკვე უნივერსიტეტში. ვმუშაობდი ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში ქორეოგრაფიული განყოფილების გამგედ, აჭარის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში მთავარ ქორეოგრაფად და სხვ. მოკლედ, რაღაც გამიკეთებია.

- 2011 წლიდან ბრძანდებით „საქართველოს ქორეოგრაფიული შემოქმედებითი კავშირის“ თავმჯდომარე. რა როლი ეკისრება აღნიშნულ კავშირს ქართულ ქორეოგრაფიაში?

- ქორეოგრაფიაში მოცეკვავეთა და ქორეოგრაფთა ინტერესების დამცველი არის ქორეოგრაფთა შემოქმედებითი კავშირი. ბევრი ადამიანი მოდის ჩვენთან დანმარების თხოვნით, აუცილებელია მათი ინტერესების დაცვა და ბევრსაც დავნმარებიათ მრავალი სასიკეთო წოდება შემოვიღეთ, ასევე დავაწესეთ ჯილდოები, მაგალითად: გვაქვს „ამაღარის ორდენი“, „საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების ორდენი“, „საქართველოს ქორეოგრაფიის რაინდის“ წოდება.

ახლა შემოვიღეთ საქართველოს პედაგოგ-დამდგმელის, პედაგოგ-ქორეოგრაფის წოდება, ამით ჩვენ მხარში ვუდგავართ როგორც დამსახურებულ ადამიანებს, ისე - ახალგაზრდებს. შემოვიღეთ საბავშვო, სანიმუშო, სახალხო ანსამბლის წოდება. რამდენს მიენიჭა ეს წოდება და რამდენი ბავშვი, მშობელი და ქორეოგრაფი ზეიმობს.

რა თქმა უნდა მეტიც გაკეთებაც შეიძლებოდა. რაც მთავარია, ვატარებთ მასტერკლასებს, სამეცნიერო კონფერენციებს და მრავალ სხვას.

- რა რჩევას მისცემდით რეზო ჭანიშვილს?

რეზო ჭანიშვილს ვურჩევდი მეტი დრო მოანდომოს კითხვას, წერას და მეტი დრო მოანდომოს ქორეოგრაფიული შემოქმედებითი კავშირის საქმიანობას.

- ბატონო რეზო, სიმღერა „ჩაკრულოსთან“ ერთად, რომელ ქართულ ცეკვას გააგზავნიდით კოსმოსში (მეგონა, დაფიქრება დასჭირდებოდა ბატონ რეზოს, გაუჭირდებოდა პასუხის გაცემა, მაგრამ პასუხი მოჭრილი იყო).

- ხორუმს.

- რატომ ხორუმს?

- რომელი ქართული ცეკვა გინდა დააყენო წინ? ცეკვა ქართულს დააყენებ? სვანურ ფერხულებს? თუშ-ფშავ-ხევსურეთის ცეკვებს? სადარბაზოს? განდაგანას? რომელი შეგიძლია ადამიანმა გამოარჩიო? ანუ, რომელი თითი შეგიძლია გაიმეტო მოსაკვეთად? დაახლოებით ასე დგას საკითხი. ყველა ცეკვაში ჩანს ტრადიციულობა, მაგრამ საქართველოს ისტორია ყველაზე უკეთ ხორუმში იკითხება. ძალზე რთულია გამოყოფა, მაგრამ თუ არჩევნის გაკეთება მომიწევდა, ავირჩევდი ხორუმს.

➤ 5 გვ.



თათია შარვაში

შემოქმედის კორტრეტი

ინტერვიუ ნუგზარ ჯიქურთან

– მოგესალმებით, ბატონო ნუგზარ, კარგად ვიცნობ და ვაფასებ თქვენს შემოქმედებას, ხომ ვერ გაიხსენებდით: საიდან და როდის გაჩნდა თქვენი ინტერესი ქართული ცეკვებისადმი?

– როდესაც სკოლა დავამთავრე, დეიდასთან ვისვენებდი ზაფხულში. დუშეთის კულტურის სახლში მოღვაწეობდა ქორეოგრაფი ღვთისო ნიქოკელი, რომელთანაც ზაფხულის პერიოდში დავდიოდი და მისი წყალობით შემიყვარდა ცეკვა. შემდეგ კი დავიწყე სიარული ლალი ვარდაულთან. თბილისისკენ მომავალს, გზად მეგობარი შემხვდა, რომელთან ერთადაც დავდიოდი ცეკვის წრეზე, მას გადაწყვეტილი ჰქონდა სერგო ზაქარაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში ჩაბარება. მან გადამაწყვეტინა, რომ მიმებაძა მისთვის და ჩამებარებინა ზემოთ ხსენებულ სასწავლებელში ქორეოგრაფიულ განყოფილებაზე. 1970 წელს ჩავაბარე სასწავლებელში და მოვხვდი ჯანო ბაგრატიონის ჯგუფში. სამწუხაროდ, იმავე წლის ნოემბერში გამიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში და ამ მიზეზით ვეღარ შევძელი სწავლის გაგრძელება მეგობართან ერთად. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ ვერ შევძელი სწავლის გაგრძელება იმავე ჯგუფში, რადგან ისინი უკვე დამამთავრებელ კურსზე იყვნენ. ამის გამო გადავწყვიტე საბუთების გამოტანა ზაქარაძის სასწავლებლიდან და სწავლის სხვაგან გაგრძელება. როცა კონსტანტინე (კოწო) მანჭგალაძემ შეიტყო ჩემი გადაწყვეტილების შესახებ, გადამაფიქრებინა სხვაგან საბუთების გადატანა და სწავლა გამაგრძელებინა მისსავე ჯგუფში.

– თქვენი პედაგოგი ქართულ ქორეოგრაფიაში, ბატონი კონსტანტინე (კოწო) მანჭგალაძე, ცნობილია, რომ უდიდესი პიროვნება იყო. გვესაუბრეთ მის შესახებ.

– ჩემგან მოცეკვავე და მით უმეტეს მექართულე არ გამოვიდოდა, რომ არა კონსტანტინე (კოწო) მანჭგალაძე. მას დიდი წვლილი მიუძღვის ჩემი, როგორც მოცეკვავედ ჩამოყალიბებაში. რომ არა მისი სიჭიუტე, დაუნარებლობა და მონდომება, ცეკვას დიდი ხნის წინ ჩამოვშორდებოდი. მუშაობის პროცესში ბევრჯერ ჩავვარდნილვარ უიმედო მდგომარეობაში. ყველა ასეთი სიტუაციიდან ჩემს გამოყვანას ბატონი კოწო ცდილობდა და ახერხებდა კიდეც. ხანგრძლივი და შრომატევადი

რეპეტიციების შემდეგ, ბატონმა კონსტანტინემ სტუდენტთა ჯგუფი წარადგინა ინდივიდუალურ საშემსრულებლო რესპუბლიკურ კონკურსზე, სადაც შევასრულეთ ცეკვები: „ქართული“ (ნ. ჯიქური; ეთერ რეხვიაშვილი), „მოხუერი“ (ნ. ჯიქური; ამირან არჩვაძე; ეთერ რეხვიაშვილი), „განდაგანა“ (ნ. ჯიქური; იზა შათირიშვილი). კონკურსზე ცეკვა „ქართულმა“ პირველი ადგილი დაიკავა. ეს იყო ჩემი პირველი წარმატებული ნაბიჯი და გზის დასაწყისი სუბივიდელებისკენ. სწორედ ამ კონკურსის შემდეგ, ბატონმა ილიკო სუხიშვილმა დამიბარა რეპეტიციაზე და 1975 წლის 17 იანვარს სუხიშვილების დიდ ოჯახში მიმიღეს. სუხიშვილების ანსამბლში 23 წელი გავატარე, გამოვედი მსოფლიოს უდიდეს სცენებზე. განსაკუთრებულად მახსენდება მოსკოვში გამართული კონცერტი, სადაც წარვდექი სუხიშვილების ანსამბლთან და ქალბატონ ლატავრა ფოჩიანთან ერთად მაყურებლის წინაშე. სუხიშვილების ანსამბლში გატარებული წლების მანძილზე, განსაკუთრებით ტკბილად მაგონდება ქალბატონი ნინო და ბატონი ილიკო, რომლებსაც უდიდეს პატივს ვცემ. ამ ყველაფრის შემდეგ ბედნიერი ვარ იმით, რომ მეც და განსაკუთრებით ბატონ კოწოს, მონდომება და მუხლჩაუხრელი შრომა, დაგვიფასდა.

– გვესაუბრეთ, თქვენთვის რა არის ცეკვა „ქართული“?

– ცეკვა „ქართული“ გენიაა, რომელსაც უნდა გავუფრთხილდეთ და გადავცეთ მომავალ თაობებს. ცეკვა ქართული ერთ-ერთი უნიკალური ქმნილებაა ქართულ ცეკვებს შორის, რომელიც ქართული საცეკვაო ფოლკლორის უდიდესი ნიმუშია. მასში ნათლად ჩანს, თუ როგორი უნდა იყოს ქალისა და მამაკაცის ურთიერთდამოკიდებულება, განსაკუთრებით მამაკაცის პატივისცემა მდებარეობითი სქესის მიმართ ცეკვის დროს. ნათლად არის გამოხატული მათი იდუმალი ტრფიალი ერთმანეთისადმი, ქალის კდემამოსილება და მამაკაცის ვაჟკაცური ხასიათი. ცეკვა „ქართულზე“ საუბრისას არ შემიძლია არ ვისაუბრო მის შეუდარებელ შემსრულებლებზე: ფრიდონ სულაბერიძე, რევაზ ჭანიშვილი და ვახტანგ გუნაშვილი. არ შემიძლია არ აღვნიშნო მათი ინდივიდუალური საშემსრულებლო ოსტატობა, რომელიც გამოარჩევს მათ სხვა შემსრულებლებისაგან. მოხარული ვარ, რომ ზემოთ ხსენებული ბუმბერაზი მოცეკვავეების გვერდით,

ჩემს სახელსაც მოიხსენიებენ, როგორც ცეკვა „ქართულის“ ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებელს.



– შეადარეთ „სუსნიშვილების“ ძველი და ახალი თაობა.

– ჩემი შეხედულებით, ძველი თაობა გამოირჩეოდა ინდივიდულების სიმრავლით, რაც დღევანდელი ანსამბლისათვის სიმცირეს წარმოადგენს. ეს ყველაფერი გამოიწვია იმან, რომ ძირითადი ცეკვები გახდა მასობრივი: მოიმატა ცეკვის, მუსიკის ტემპმა და მოცეკვავეები ვერ ახერხებენ წარმოაჩინონ თავისი ინდივიდუალიზმი. ამით იმის თქმა მინდა, რომ იცვლება დრო, ეპოქა, შესაბამისად იცვლებიან თაობები, მათი შეხედულებები, ხედვები, გემოვნება და ეს ყველაფერი განაპირობებს იმას, რომ დრო და დრო საჭიროა სიანსებები, სურვილის მიუხედავად ეს ყველაფერი გარდაუვალია. პირველ რიგში მივესალმები იმას, რომ ანსამბლი აგრძელებს არსებობას, არ ივიწყებს ძველ ტრადიციებს, პროგრამას და ამასთანავე ღებულობს და ნერგავს სიანსებებსაც.

– როგორ ფიქრობთ, უნდა გვინახავდეს თუ არა ანსამბლი „სუსნიშვილები“ აუთენტურ ცეკვებს?

– ვფიქრობ, რომ ანსამბლი „სუსნიშვილები“, რა თქმა უნდა, ზრუნავს აუთენტური ცეკვების შენარჩუნებაზე, რადგან ეს ცეკვები ჩვენი ისტორია და ტრადიციაა. მათი საშუალებით ჩვენ შეგვიძლია მომავალ თაობებს გადავცეთ და ვაჩვენოთ, თუ როგორი იყო აუთენტური ცეკვები. აუთენტური

ცეკვები რელიქვიების მსგავსია, რომელსაც მუზეუმი საუკუნეების მანძილზე ინახავს მომავალი თაობებისათვის. აუთენტურმა ცეკვებმა, სამუზეუმო ექსპონატების მსგავსად, საუკუნეებს უნდა გაუძლოს, მისი მთავარი ამოცანაც ხომ სწორედ ესაა.

– გვესაუბრეთ თქვენი ანსამბლის შესახებ და თქვენ მიერ დადგმულ ცეკვებზე.

– „სუსნიშვილების“ ანსამბლში მოღვაწეობის შემდეგ, დავიწყებ პედაგოგად მუშაობა და ბატონ თენგიზ მაისურაძესთან ერთად 1994 წელს ჩამოვყალიბე ანსამბლი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ ქალბატონი ეთერ რენჯიაშვილი. დავიწყებ ცეკვების დადგმა საბავშვო კოლექტივთან: განდაგანა, დავლურ-ქართული, ს. დოლიძის ქართული, ქალვაჟა მთიულური. 1998 წლიდან შემომემატნენ უფროსი ასაკის მოსწავლეები, რომლებთან ერთადაც ჩამოვყალიბე ანსამბლი „თერგი“.

ამ ანსამბლის ხელმძღვანელი გახლავართ დღემდე. ანსამბლში დავდგი ახალი ცეკვები: ფარიკაობა, ქალვაჟა მოხეური, განდაგანა, ოსური, მხედრული და ა.შ. ბატონი თენგიზ სუსნიშვილის დამსახურებით, გასტროლზე პირველად გავემგზავრეთ ესპანეთში ფესტივალზე ანსამბლ „სუსნიშვილების“ მაგივრად და პირველი ადგილით დავბრუნდი.

– რომელია თქვენთვის საყვარელი ცეკვა?

– უპირატესობას ვანიჭებ სამთიულურ ცეკვებს, აგრეთვე საბრძოლო და სატრფიალო ხასიათის. განსაკუთრებით გამოვარჩევ ცეკვას „ფარიკაობა“. მისი დადგმა შესაძლებელია როგორც მთლიანად საბრძოლო, ასევე, სატრფიალო ხასიათის გათვალისწინებით.

მინდა პარალელი გავავლო და მაგალითად მოვიყვანო ქალისა და მამაკაცის დამოკიდებულება ცეკვა „ქართულსა“ და ცეკვა „მოხეურს“ შორის. ცეკვა „ქართულში“ წამყვან ფიგურად ითვლება ქალი, ხოლო „მოხეურში“ მამაკაცი. ჩემთვის მისაღებია წყვილური ცეკვები, რადგან ნათლად ჩანს ქალისა და მამაკაცის იდუმალი ტრფიალი და კონტაქტი ერთმანეთს შორის. ყოველივე ეს კი ცეკვას სხვაგვარ ელფერს სძენს.

– რომელ ცეკვას გააგზავნიდით კოსმოსში?

– კოსმოსში გავაგზავნიდი ცეკვა „ქართულს“.



სვანეთზე შეყვარებული

ინტერვიუ ალექო გელაშვილთან

2007 წელს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში სადიპლომო ჩვენება დაიგეგმა. ალექო გელაშვილი ერთ-ერთი დიპლომანტი გახლდათ. მისმა დადგამმა დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. შემდგომში, სხვა პროფესიულ წარმატებებთან ერთად, დისერტაციის დაცვა მისი კიდევ ერთი წარმატება გახლდათ. ასეთი ახალგაზრდა სპეციალისტის შემართება, პროფესიის

სიყვარული უდავოდ მისაბაძია და მისი ყოველი სიტყვა კი - დასაფიქრებელი. ამგვარ სიტყვებს კი მხოლოდ უშუალო საუბარში გადაეყრები. ამ საუბარს ინტერვიუს ფორმა მივეცი.

ალექო გელაშვილი დაიბადა 1984 წლის 8 ივნისს და 10 წლამდე ზრდებოდა ხარაგაულის რაიონის სოფელ გრიგალათში. ცხოვრების შემდგომი ეტაპი თბილისში გაგრძელდა და აი, სწორედ აქედან იწყება, ესოდენ ტკბილად მოსაგონარ ბავშვობაში გაბმული, უხილავი ძაფებით, ხელოვნებისადმი სიყვარულის ქსოვა.

– თქვენი საგნის – „ქორეოგრაფიული ხელოვნების ნიმუშები“ შესახებ მინდა გკითხოთ: საინტერესოა, სტუდენტები რამდენად ითავისებენ ნაწილობრივ მივიწყებულ საცეკვაო ლექსიკას, სტილს, ხასიათს?

– ეს საგანი ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია. ორი წელია, რაც ამ ფორმატით ვკითხულობ ლექციებს. ჩემი სტუდენტობის დროს ამ სალექციო კურსს სხვაგვარი სახე ჰქონდა, თუმცა გარკვეული შედეგი უკვე მიღებულია. ვფიქრობ, საინტერესოა და საჭიროა ეს საგანი ქართული ცეკვის დამდგმელის სპეციალობის სტუდენტთათვის, მათ უნდა ჰქონდეთ ამ ცეკვების შესრულების პრაქტიკული გამოცდილება. სტუდენტები ინტერესით ეკიდებიან საგანს და ცდილობენ შეასრულონ დავალებული ცეკვები. თავის მხრივ, საინტერესოა მათ მიერ დამუშავებული ნიმუშის მათივე ინტერპრეტაციით წარმოდგენა.

– საინტერესოა იქნება თქვენგან იმის მოსმენა, თუ როგორ მუშაობდით სადიპლომო დადგმაზე „ბაილ ბეთქილი“? რა განდა შთაგონების წყარო? რატომ სვანეთი?

ჩემთვის სვანეთი ძალიან საინტერესო კუთხეა. ცხოვრებაშიც ისე გამოვიდა, რომ ცოლად შევირთე ამ კუთხის წარმომადგენელი – ნანა გასვიანი. ჩემი აზრით, სვანეთს ქორეოგრაფიული ფოლკლორი გარკვეულ სისტემაში აქვს მოქცეული და სწორედ ესაა საინტერესო. ვფიქრობდი, შემექმნა ხალხური ქორეოგრაფიული კომპოზიცია, სადაც იქნებოდა სიუჟეტი. მსოფლიოში ძალიან ცოტა მაგალითია ამგვარი ცეკვების. პირველწყაროს თავად ლეგენდა „ბაილ ბეთქილზე“ წარმოდგენდა. მოვიშველიე ვანტანგ ონიანის ნახატები, სადაც გამოსახული იყო ქალღმერთი დალი, სცენები – „ნანადირვის შემოტანა“, კომპოზიცია. კონსულტაციებს ბატონ უჩასთან გავდიოდი და მისგან გავიგე, რომ ამ ლეგენდის მიხედვით თეატრალური დადგამაც ყოფილა. როდესაც ვკითხულობდი სცენარს და ვადარებდი ჩემს უკვე დადგმულ კომპოზიციას, სრული თანხვედრა გამოვიდა. აღმოვაჩინე, რომ დრამატურგია სრულიად მისდევდა იმ სცენარს.

როგორც ჩანს, ხელოვანებს შორის არის რაღაც კავშირი არაცნობიერ ნიადაგზე. ჩემი აზრით, ამ კომპოზიციის ყველაზე სუსტი რგოლი მუსიკალური შინაარსი იყო, რადგან უნივერსიტეტს არც მაშინ და არც ამჟამად გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აუდიო აპარატურა ცეკვებისთვის მუსიკალური მასალის მოსამზადებლად. ამიტომ კომპოზიციებს თავად სტუდენტები ქმნიდნენ, ასე ვთქვათ, „კუსტარულად“.

– დღევანდელი გადმოსახედიდან თუ შეცვლიდით რაიმეს თქვენს დადგმაში?

საქმე ისაა, რომ სტუდენტური ნამუშევარი მხოლოდ პროცესია, ეს არ არის დასრულებული ნაწარმოები. მაგრამ იდეა და ჩანაფიქრი შეიძლება ნიმუშად ჩაითვალოს და სწორედ რომ ამას არ შევცვლიდი. ალბათ, უფრო შევცვნიდოდი მუსიკალურ მასალას, მასშტაბურობას გავზრდიდი, ოდნავ ლექსიკას, ანუ დავდგამდი იმას, რაც მაშინ მქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ვერ განხორციელდა.

– გვიამბეთ თქვენს სადოქტორო დისერტაციაზე

– „ქართული ცეკვა არქეოლოგიურ ძეგლთა იკონოგრაფიულ სისტემაში“. ისევ ჩნდება კითხვა – რატომ ეს თემა?

– ეს იყო პირველი დაცვა ამ სპეციალობაზე დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, დაიწერა რეცენზიები. რეცენზენტები დეტალურად მიხვდნენ ჩემს ჩანაფიქრს, რატომაც ავიღე ეს თემა, რა იყო ჩემი ინტერესი, რა მოცულობის სიახლეები იყო, რა მეთოდებსა და ხერხებს მივმართე. არქეოლოგიურ ძეგლებზე გამოსახულ საცეკვაო ქმედებთა შესახებ ხელოვნებათმცოდნეობით შეფასებებს რომ გადავხედოთ, ფაქტობრივად, მხოლოდ ორ-სამ ფურცელს თუ მოვიძიებთ. რეზენზიებშიც ამ ზომის ინფორმაციას საკმარისად მიიჩნევდნენ და თვლიდნენ, რომ ამით ყველაფერია ნათქვამი და თემაც ამოწურული. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნეები ამ თემაზე გარკვეული მინიშნებებით საუბრობენ. მათ

მოსაზრებებს დამადასტურებელი ფაქტები არ გააჩნიათ. ჩემს დისერტაციაში პირველად ხდება მეცნიერული აზრების შედარებითი ანალიზი, რის შედეგადაც ამა თუ იმ ძეგლის მიმართ შეიცვალა მეცნიერული აზრი. თუ ადრე მიაჩნდათ, რომ კონკრეტული ძეგლი არის ქართული წარმომავლობის, აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის და აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ამარქეოლოგიური ძეგლის დაკავშირება რომელიმე ფოლკლორულ მონაცემთან. შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაშრომი, ჩემი, როგორც პიროვნების დიდი მონაპოვარია. ამჟამად ცვფვიქრობ წერილობით ძეგლებში საცეკვაო ქმედებების აღწერების შესახებ. შეიძლება გამოიყვანდეს უამრავი სიახლე ამ თემასთან დაკავშირებით. ასევე დაინტერესებული ვარ თანამედროვე ქორეოგრაფიაში მიმდინარე პროცესებით.

- გადავიდეთ აბსოლუტურად კონტრასტულ ქორეოგრაფიულ სფეროზე. - რამ განაპირობა თქვენი პროფესიული ინტერესის გაღვივება სამეჭლისო ცეკვების მიმართ?

- ჩვენს სპეციალობაზე, მეოთხე კურსზე საგნად გვაქვს ეს დისციპლინა. ჩვენი კურსი დადიოდა სამეჭლისო-სპორტული ცეკვის სტუდია „თელაში“, სადაც ამ საგანს გვასწავლიდნენ თენგიზ და ლარისა გაჩეჩილაძეები. მანამდე შეხებაც კი არ მქონია ცეკვის ამ სახეობასთან, მაგრამ სწავლის პროცესში დავინტერესდი. როგორც სვანური ცეკვებია გარკვეულ სისტემაში მოქცეული, ასევე სამეჭლისო ცეკვებიც. აქ თითოეული დეტალი - მზერა, მოქმედება - გათვლილია. ესა თუ ის მოძრაობა თუ ფიგურა ზუსტად ისე უნდა შესრულდეს, როგორც დაკანონებულია და არა სხვაგვარად. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაკლდება ქულა. ეს ცეკვები, როგორც სპორტი ისე ვითარდება. საინტერესო იყო მოძრაობებზე მეთოდური მუშაობა, რაც სხვა პედაგოგებთან არ მინახავს. ჩემ მოსწავლეებთან და სტუდენტებთანაც ვიყენებ აქ შესწავლილ ნერვებს, როგორებიცაა, მოძრაობის დაშლისა და ახსნის მეთოდები, მუსიკალური შინაარსის აღქმა. შემდგომში მიმიწვიეს თავისთან ანსამბლში და შეჯიბრზე კავკასიის თასიც ავიღე.



- თქვენი აზრით, ქართულ ქორეოგრაფიას რა ადგილი უჭირავს მსოფლიო ქორეოგრაფიაში?

- შევხედოთ როგორც ფოლკლორული მონაპოვარი. მე ამ შემთხვევაში სასცენო ქორეოგრაფიაზე არ გავამახვილებ ყურადღებას, მით უმეტეს თანამედროვე სასცენო ქორეოგრაფიაზე. ყველას აქვს ამოჩემებული გრიგოლ რობაქიძის სიტყვები, რომ სხვა გენი და სხვა რასხა ქართულ ცეკვებს ვერ იცეკვებს. დღეს ზოგიერთ საცეკვაო ნომერში, ჩვენ რასაც ვხედავთ, ამას „რასა“ არ სჭირდება, ამ ცეკვებს შეასრულებს ნებისმიერი მოცეკვავე. მაგრამ იმას, რასაც ჩვენი წინაპრები ცეკვავდნენ, ნამდვილად „რასა“ სჭირდება და ქართველის გარდა, ნამდვილად ვერავინ შეასრულებდა. მიუხედავად იმისა, რომ იუნესკოს ჯერ არ აქვს აღიარებული ქართული ცეკვა, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ისევე, როგორც ქართული ღვინის დამზადების წესი და ქართული სიმღერა, იმედი მაქვს, მალე ქართული ცეკვაც დაიმკვიდრებს მათ შორის ღირსეულ და დამსახურებულ ადგილს. ქართული ქორეოგრაფია არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს მონაპოვარია და მარტო ტაშის დაკვრა არ არის საკმარისი, მას სათანადოდ დაფასება სჭირდება, მოვლა-პატრონობაა საჭირო. ამისათვის კი აუცილებელია დაიწეროს ძალიან ბევრი მეცნიერული კვლევა.

- თქვენთვის იდეალური ქორეოგრაფი როგორია?

- ამაზე გამიჭირდება პასუხის გაცემა. თუმცა ვიტყვი, რომ ალბათ ისეთი ადამიანია, რომელიც მუდმივად ძიების პროცესშია, ცდილობს თავისი სიტყვა თქვას. ადამიანი, რომელიც ქართული ქორეოგრაფიის სფეროში ტრიალებს, ეყრდნობა ფოლკლორულ წყაროებს, არ ამახინჯებს ეპოქას, არ ამახინჯებს საცეკვაო ლექსიკას, ნაწარმოების დრამატურგიას და მუსიკალურ შინაარსს.

- წარსული დროის რომელ ქორეოგრაფთან ითანამშრომლებდით?

- მაგალითად, ამოუცნობი არის ილია არბატოვი, რომელიც საბჭოთა კავშირის მასშტაბით მუშაობდა და დგამდა ცეკვებს. მაგრამ მისი სახელი ფართოდ საზოგადოებისთვის არაა ცნობილი. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო პიროვნება უნდა ყოფილიყო. როგორც ამბობენ, ი. არბატოვი კავკასიური ცეკვების უბადლო შემსრულებელი გახლდათ და ალბათ ეს ეხმარებოდა ცეკვების დადგმაში. სავარაუდოდ, მის დადგმებს ქართულ ანსამბლებში დღესაც ვხედავთ, თუმცა მისი სახელი არ უღერდება.

- რას ურჩევდით დამწყებ ქორეოგრაფებს?

- ჩემი პედაგოგის, ბესიკ სვანიძის სიტყვებს გავიხსენებ: „შეიყვარეთ წიგნი!“ იმიტომ, რომ წიგნებშია ზუსტად ის ჭეშმარიტება, რომლებსაც უნდა დავეყრდნოთ.

- ჩვენი საუბარი, სამწუხაროდ, დასასრულს მიუახლოვდა, ერთი კითხვაც: რომელ ცეკვას გაუშვებდით „ჩაკრულოსთან“ ერთად კოსმოსში?

- სვანურ ფერხულებს.



ცეკვის სიყვარულით მეცნიერებაში

ინტერვიუ მკატარინე ბელიაშვილთან

მოხარული ვარ, რომ მოკრძალებულად გავდივარ იმ გზასა და ეტაპებს, რომელიც ქალბატონმა ეკა გელიაშვილმა განვლო. ამ ყველაფერს ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ იგი ჩემი პედაგოგი იყო, რომლის დამსახურებაც დიდი ხემს შემოქმედებითად განვითარებაში. იცით, არსებობენ დიდი ხელოვანები და უბრალო ადამიანები, ხოლო ამ პიროვნებაში შენამებულია ორივე თვისება, - ხელოვანი და დიდი ადამიანი, რაც იშვიათია. ამიტომ გადავწყვიტე წარმოემდგინა საზოგადოებისათვის მისი განვლილი გზა.

- საიდან და როდის გაჩნდა თქვენი ინტერესი ცეკვისადმი?

- ბავშვობაში, ოჯახში ხშირად მიდიოდა საუბარი ცეკვაზე. მამაჩემის ძმა იყო სუსიშვილების ანსამბლის მოცეკვავე (თენგიზ სუსიშვილის თაობა). ბიძა არ ცნობდა ჩვენთან, თუმცა ხშირი სტუმარი იყო ჩვენს ოჯახში მეგობრებთან ერთად და გამუდმებით მესმოდა საუბარი ქართული ცეკვის გარშემო. ხშირად კონცერტებზეც დავდიოდით და სწორედ ბიძის დამსახურებდა ჩემი დაკავშირება ცეკვასთან.

10 წლის ასაკში სტუდიაში ჩავირიცხე, ეს იყო პირველი ექსპერიმენტული სტუდია, რომლის დირექტორი გახლდათ ირაკლი ხმალაძე, სტუდიაში დავამთავრე ოთხწლელი. იმ პერიოდისათვის სულ ორი სტუდია იყო, ერთი, ჩემ მიერ დასახელებული და მეორე, - „სუსიშვილები“. ამ სტუდიაში მუშაობდნენ პედაგოგები: გივი ოდიკაძე, გულიკო სიხარულიძე და სხვანი.

- რა იყო შემდეგი ეტაპი, რამაც გააღრმავა თქვენი ინტერესი ცეკვისადმი?

- სტუდიის შემდეგ, ანსამბლში მოვინდომე ცეკვა, თუმცა სიმაღლე არ მიწყობდა ხელს. სტუდიას ვამთავრებდი, როდესაც ე.წ. „ზბორებზე“ (შეკრებაზე) წავდიოდი ცხვარიჭამიაში. მაშინ აქტუალური იყო დღიურების შევსება და დირექტორმა საქებარი სიტყვები ჩამიწერა, მაგრამ მოკრძალებით ხაზი გაუსვა ჩემს სიმაღლეს: „აი, ცოტას თუ მოიმატებ სიმაღლეში...“- აქ ვიგრძენი, რა იყო ჩემი პრობლემა, რამაც რაღაც მხრივ, დამაკომპლექსა და შემდეგ უკვე სხვა მიმართულებით მაპოვნინა ჩემი თავი. სპეციალისტებმა გვიჩიეს ანსამბლი „როკვა“, რომელიც იმ დროს მოწოდების სიმაღლეზე იდგა, თუმცა ბიძა წინააღმდეგი იყო, რადგანაც იცოდა, რაოდენ რთული იყო მოცეკვავის პროფესია. „როკვის“ პერიოდში უკვე მოვიწამლე შემოქმედებითად, დიდი ინტერესი წამოვიდა მაშინ, როდესაც უნივერსიტეტში ჩავაბარე, სადაც იმდენი რამგავიგედავისწავლე, რაზედაცადრეწარმოადგენაც არ მქონდა, ხოლო მანამდე იყო გატაცება... იმ პერიოდში არსებობდა არასახელმწიფო, კომერციული სასწავლებელი, რომელიც ერთი წლის შემდეგ გადაკეთდა სახელმწიფო ინსტიტუტად და

თავიდან მომიწია კონკურსის გავლა, სადაც უკვე ბატონ უჩა დვალიშვილის სახელოსნოში მოვხვდი.

- რა განსხვავებას ხედავთ თქვენი ბავშვობა-ახალგაზრდობის პერიოდსა და დღევანდელ თაობას შორის, შემოქმედებითი თვალსაზრისით?

- დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ, მაგრამ თითქოს ჩვენი პერიოდის დადგმებში იყო მეტი ჰარმონიულობა მოცეკვავეებს შორის. ვფიქრობ, ეს იმ გარემოების ბრალია, რომელშიც ვიმყოფებით.

- მოქცეულხართ თქვენი პედაგოგის აზრის გავლენის ქვეშ, ან თუ გქონიათ მისგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება?

- ლოგიკურია, როდესაც ადამიანის ზეგავლენის ქვეშ ექცევი, ვისი აზრიც შენთვის კომპეტენტურია, ვისიც გჯერა და ენდობი... ჩემთვის გარკვეულ გავლენას ახდენს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბრმად დაემორჩილო. სტუდენტობის დროს უფრო ნაკლებად, მაგრამ ახლა უფრო შეიმჩნევა ჩვენი აზრთა სხვადასხვაობა, ხშირად ვკამათობთ კიდეც მე და ჩემი პედაგოგი, დღეს უკვე კოლეგები. მქონია რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებაც.

- გვესაუბრეთ თანამედროვე ტენდენციებზე ქორეოგრაფიაში და რა დოზით იყენებთ მას სტუდენტებთან მუშაობისას?

- ზოგადად ხელოვნებაში გადმოგვაქვს ის, რასაც ვხედავთ, რასაც ვგრძნობთ - მთელი ჩვენი სამყარო, როგორც ემოციური, ფსიქიკური, რეალური, ასევე ირეალური. რაც არ უნდა ვეწინააღმდეგოთ, გარემო მაინც ზეგავლენას ახდენს: მაგ., ცხოვრების რიტმი აჩქარდა, ქალის როლი ცხოვრებაში ბევრად უფრო დაიტვირთა, ასევე ის მიმდინარეობები, რაც გაჩნდა თანამედროვეობაში. ტექნიკის ეპოქაში ვცხოვრობთ და შეუძლებელია ამან შენზე გავლენა არ მოახდინოს. მე ყოველგვარ სიახლეს მივესალმები, ოღონდ რასაც ხელს მოკიდებ, ნებისმიერს, ჯერ საფუძვლიანად უნდა შეისწავლო. სტუდენტებთან მიმართებაში შენ უფრო ობიექტურად შეაფასებ ჩემს დამოკიდებულებას. ჩემი მხრიდან უფრო სუბიექტური იქნება ეს ნათქვამი, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობ, რომ სტუდენტი, თუკი მასალას, რაზეც იგი მუშაობს, იცნობს, მისი ფანტაზია არ შევზღუდო, პირიქით, ხელი შევუწყუო.



- თქვენთვის, ქორეოგრაფ-ქორეოლოგისთვის, მუდმივი ძიების თემა რა არის?

- ჩემთვის მუდმივი ძიება მდგომარეობს იმ გასაღების პოვნაში, შემოქმედებითი თვალსაზრისით, რასაც ჰქვია სამყაროს შემეცნება. ჩემთვის თითოეული მომენტის, რა თემაზეც ვმუშაობ პრაქტიკულად და თეორიულად - სტრუქტურულად გაშლა მიხდება. ყოველთვის ვეძებ გასაღებს, რაშიც საზოგადოების, თუნდაც ინდივიდის შეხედულება იკვეთება სამყაროსადმი. შესაბამისად, ამ გასაღებით თუ გააღე, უკვე მიხვდები, რა მიმართულებით გაშალო თემა.

- რას იტყვით თქვენს შემოქმედებით ხელწერაზე და ყველაზე დიდ წარმატებად რას მიიჩნევთ?

- ყოველთვის ვცდილობ, ხელწერაში ვიყო თავისუფალი და არ შევიზღუდო. შემიძლია ერთი შეხედვით ჩემს თემასთან აბსოლუტურად კავშირის არმქონე დისციპლინას მივმართო. თუ ვფიქრობ, რომ ის დისციპლინა და იმ დისციპლინის შედეგები ჩემს კვლევას წაადგება, შეიძლება შევისწავლო ასტრონომია და ნებისმიერი მიმართულება.

- დღესდღეობით ბევრს საუბრობენ ხელოვნებაში არსებულ კრიზისზე, როგორ ფიქრობთ, ქორეოგრაფიაშიც კრიზისია?

- ქართულ ქორეოგრაფიაში ამ კრიზისის მიზეზი არაპროფესიონალიზმი, არაჯანსაღი კონკურენცია და კრიტიკის არარსებობაა. იმის თქმა არ მინდა, რომ საცეკვაო ნომრები აკლია ქართულ ქორეოგრაფიას, შემოქმედებითობის კრიზისია. ჩვენთან კონცერტის დასრულებისას ძირითადად საუბარი არის ხოლმე მსახიობ-მოცეკვავის ოსტატობაზე, მის ტექნიკურ მხარეებზე და არა შემოქმედებაზე, თითქოს ქორეოგრაფი გაქრა. მაყურებელი ვეღარ ხედავს მის ემოციას, მსოფლმხედველობას. მაყურებელი როცა ვერ იგებს ნაწარმოების აზრს, უკვე შემსრულებელი გამოდის წინა პლანზე და ქორეოგრაფი იკარგება. მაგალითად მოვიყვან ბორის ეიფმანს, რომელიც თანამედროვე ქორეოგრაფიაში ერთ-ერთ წამყვან ქორეოგრაფად ითვლება. მიუხედავად მისი დასის მაღალტექნიკური შესაძლებლობისა, ეიფმანის დადგმებიდან ადამიანი არ გამოდის, რომელიც არ აღნიშნავს ეიფმანის შემოქმედებით დამსახურებას. იქ ნაკლებად მიდის საუბარი შემსრულებელზე, თუმცა შემსრულებელს თავისი როლი და დამსახურება გააჩნია. ხელოვანია ის, ვინც ქმნის მხატვრულ სინამდვილეს.

- როგორ ფიქრობთ, რა როლი აკისრია ქორეოგრაფიას საზოგადოების ცხოვრებაში?

- ეს ხელოვნება ხალხმა შექმნა, საჭიროება ჰქონდა ამისი, ხელოვნება სწყუროდა ადამიანს და მისი სულიერი საზრდო იყო. ცეკვას იგი ირეალურ სამყაროში გადაჰყავდა და ყოფიერებას სწყვეტდა. ვფიქრობ, რომ დღესაც ასეთი მიდგომა უნდა იყოს, რადგანაც ქორეოგრაფია აჯანსაღებს ადამიანს, როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად.

- რომელ ცეკვას გაგზავნიდით კოსმოსში?

- ხორუმს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ქალბატონ ეკას დიდი წვლილი მიუძღვის ცეკვა „ხორუმის“ გაძევების საკითხში, საქართველოს დონეზე. მისი სურვილია, რომ ეს ცეკვა და არა მხოლოდ ეს - გაძევდეს საერთაშორისო დონეზე.

ზურა კვარაცხელია

შემოქმედის კვალდაკვალ

ინტერვიუ ია ლორთქიფანიძესთან



შიდა შესარჩევ გამოცდაზე ყოფილი ერთ-ერთი წევრი ქალბატონი, მთელი საგამოცდო ეტაპის მანძილზე განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ჩემ მიმართ. ეს მომენტი არ გამომრჩენია, ჩემდამი დადებითი განწყობა მის კმაყოფილებით სავსე მზერაში იხატებოდა. თეატრალურ უნივერსიტეტში ყოველდღე ვხვდებოდი. მინდოდა გავსაუბრებოდი, მაგრამ მერიდებოდა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩემი ქორეოგრაფ-პედაგოგი გახდა. ქვემოთგთავაზობთ ინტერვიუს სწორედ ამ ქალბატონთან - ია ლორთქიფანიძესთან. კორესპონდენტის ამპლუაში ყოფნა ჩემთვის უცხო იყო, თუმცა ვიმედოვნებ, ინტერვიუ საინტერესოდ წარიმართება, რადგან, ვიმედოვნებ, რესპონდენტი გულახდილად უპასუხებს ყველა შეკითხვას.

- ქალბატონო ია, მოგესწონებათ, ყველაფერს აქვს დასაწყისი. თქვენს შემთხვევაში როდის დაიწყო და რამ განაპირობა თქვენი ინტერესი ქართული ცეკვისადმი?

- 5 წლის ასაკში დედაჩემის მეგობარმა, გულიკო ნიკოლაძემ, დამაკვლიანა და რეკომენდაცია გამიწია თავის ძმასთან, ლექსო ნიკოლაძესთან, რომელიც „სუნიშვილების“ ყოფილი მოცეკვავე გახლდათ. დავთანხმდი და დავიწყებირველი ნაბიჯების გადადგმა ქართულ ქორეოგრაფიაში. მალევე ლექსო ნიკოლაძე გადავიდა ქუთაისის სახელმწიფო ანსამბლში. ქუთაისიდან კი ლექსოს ნაცვლად ჩამოვიდა რევაზ ჭანიშვილი. ამ სტუდიას ჩაუდგა სათავეში და შექმნა ანსამბლი „მერანი“. მე ამ ანსამბლის პირველი თაობის წარმომადგენელი ვარ.

- რა შეგიძლიათ გვითხრათ თქვენი წარმატებებისა და მიღწევების შესახებ?

- უამრავ ფესტივალზე, საკონკურსო და სამთავრობო ღონისძიებაზე მიმიღია მონაწილეობა. ჩვენი ანსამბლი იყო პიონერთა სასახლის პირველი სახე. ხშირად გვქონდა გასვლები საზღვარგარეთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

გამოვყოფდი უკრაინაში პიონერთა ბანაკ „არტეკს“, სადაც მსოფლიო მასშტაბით წარჩინებული მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას. აქ ყველა სახელმწიფო წარმომადგენდა თავის კულტურას, მათ შორის ქართველების მხარის წარმომადგენლები ვიყავით ჩვენ და პიონერთა სასახლესთან არსებულ სიმღერის ანსამბლი „მზიური“.

ანსამბლი „მერანიდან“ ჩემი შემდგომი ნაბიჯი იყო ანსამბლი „როკვა“, რომლის დამფუძნებლებიც – დირექტორი, ლამზირა სანიკიძე, ქორეოგრაფები – უჩა დვალისვილი, ჯანო ჯანიაშვილი, გულიკო სიხარულიძე გახლდათ. ადრე ეს ანსამბლი სუნიშვილების ბაზას წარმოადგენდა.

13 წლიდან ანსამბლ „როკვაში“ მოცეკვავე-მსახიობი ვიყავი. 1993 წელს დავამთავრე საშუალო სკოლა. პირველ კურსზე ვსწავლობდი იურიდიულ ფაკულტეტზე. შემდგომ, მშობლების თხოვნით, 1993 წელს, ჩავაბარე თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში, სადაც ვსწავლობდი 1997 წლამდე.

- ჩემთვის ცნობილია, რომ ქართული ქორეოგრაფიის დვალისვილის პიროვნება, ბატონი ავთანდილ თათარაძე, თქვენი პედაგოგი იყო. თქვენთვის რამდენად მნიშვნელოვანი იყო ამ ადამიანის გვერდით ყოფნა და რა გამოცდილება მიიღეთ მისგან?

- თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული ხელოვანი, დიდიადამიანი, ჩემი ერთ-ერთი პედაგოგი, ავთანდილ თათარაძე ქორეოლოგიური მიმართულებით ხელოვნების ისტორიას მასწავლიდა. უზომო სიყვარული ქართული ცეკვისადმი გადამდებდა იყო ყველა სტუდენტისთვის. ა.თათარაძის საიუბილეო საღამოზე ანსამბლ „როკვაში“ მან დადგა რამდენიმე ცეკვა, ამ დადგმებში მეც ვმონაწილეობდი.

ბედნიერი ვარ, როცა სტუდენტობის პერიოდს ვიხსენებ, რადგან ჩემ ირგვლივ ქორეოგრაფიაში

მოღვაწე დიდებული ადამიანები იყვნენ. მათი თითოეული სიტყვა, რჩევა-დარიგება მთელი ჩემი შემდგომი ცხოვრების გზის საფუძვლად იქცა.

- რა შეგრძნება დაგეუფლათ, როცა პირველად შეხვედით ლექსიაზე, როგორც პედაგოგ-ქორეოგრაფი?

სტუდენტის მერხიდან პედაგოგის მაგიდამდე რთული გზა გავიარე.

დიდი პასუხისმგებლობაა ასწავლო სხვას, აღზარდო. ვგრძნობდი ჩემი პროფესიის სირთულეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოტივაცია და შემართება იმდენად დიდი იყო, ვცდილობდი მაქსიმალურად დამეინტერესებინა ჩემი სტუდენტები და გამეზიარებინა მათთვის წლების შედეგად დაგროვილი ცოდნა.

- რამდენად აქტიურად გიწევდათ ან ერთგვობლივ ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების სფეროში გამართულ სხვადასხვა აქტივობაში?

- ჩემი ინტერესის საგანი ქორეოგრაფიული ხელოვნების პოპულარიზაცია იყო. სწორედ ამიტომ მაქსიმალურად ვერთგვობდი სხვადასხვა პროექტში.



ვმუშაობდი ქორეოგრაფად 2007-2008 წლებში – კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფოლკლორის მხარდაჭერის საპრეზიდენტო ნაციონალური პროგრამის ფარგლებში. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ მივლინებული ვიყავი თურქეთში, ქ.სტამბულში. ასევე, ვიყავი მომხსენებელი 2009 წელს – კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ ჩატარებულ ქორეოგრაფიულ მასტერკლასში.



2013-2015 წლებში – „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სატელევიზიო პროექტ „კავკასის ქარში“ ვხელომდვანელობდი ქორეოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ მიმართულებას.

2016-2017 წლებში, თურქეთის რესპუბლიკაში ვმუშაობდი ქართული კულტურის სახლის მიერ განხორციელებულ პროექტში (მასტერკლასი) ქორეოგრაფად.

– რეალური თვალით თუ შევხედავთ ქართულ ქორეოგრაფიას, პრობლემები აშკარად იკვეთება. თქვენი აზრით, რა რისკის ქვეშ დგას ქართული ქორეოგრაფია და რა გამოსავალს ხედავთ?!

– რისკი დიდაა, ნაციონალური ელემენტებით აწყობილ ქორეოგრაფიას ლანგარიზით გადავცემთ სხვა ქვეყნის კულტურას, ისინი ითავისებენ ამ ილეთებს და თავისად ასაღებენ. ეს დიდი პრობლემის წინაშე გვაყენებს. ზეგავლენა ადრეც იყო კულტურათა ასიმილაციის გამო და ეს აშკარად ჩანს. გამოდის, არც „კინტაურია“ ჩვენი და აღარც – „განდაგანა“. ახალი არის ძველის განახლება...

აუცილებელია, პირველი წყაროების დაცვა, ფიქსირება. ამ კადრების ბევრი მექანიზმია ჩამოსაყალიბებელი.

დღეს საავტორო უფლებების მთლიანი რგოლი არსებობს, კულტურის სამინისტრომ და ქორეოგრაფიულმა საზოგადოებამ უნდა იმუშაოს ამაზე. კულტურის სფეროში ჩვენ მიმართულებას აუცილებლად უნდა ჰყავდეს წარმომადგენელი, რომელიც დაიცავს ჩვენს ინტერესებს.

– ქართულ ქორეოგრაფიაში ძალიან მცირეა ანსამბლთა რეპერტუარებში სიუჟეტური ცეკვები, პრაქტიკულად კლასიკური ნიმუში არ არსებობს. რას იტყვით ამ პრობლემასთან დაკავშირებით?

– შოუს ბაზარმა განაპირობა დღევანდელი რეალობა. მაყურებელს ნაკლებად აინტერესებს აუთენტური და ტრადიციული ფოლკლორი. ისინი ითხოვენ ვიზუალურ-ტექნიკური ეფექტის დინამიკურობას ანსამბლების რეპერტუარებში.

ქორეოგრაფები ცდილობენ მაყურებლის ფსიქოლოგიასა და განწყობაზე ზემოქმედების მოსახდენად შექმნან დაგამოწყონ ტიპაჟები, გმირები, რომლებიც შექმნიან ერთგული მაყურებლის მთელ დინებას. აქცენტი ძირითადად კეთდება მოძრაობის ზუსტ ტექნიკურ შესრულებაზე და არა – ამა თუ იმ ცეკვის სემანტიკაზე.

ამიტომაცაა აუცილებელი უნივერსიტეტში მუდმივად აღიზარდოს კადრები, რათა ქორეოგრაფიულ ანსამბლთა რეპერტუარი მრავალფეროვანი გახდეს.

– ქართული მუსიკალური ნაწარმოები „ჩაკრულო“ გაიგზავნა კოსმოსში. თქვენ უფლება რომ გქონოდათ, რომელ ცეკვას გაავრცენდით და რატომ?

– ცოტა შორიდან დავიწყებ.

გიორგი უშიკიშვილის იდეა იყო – საქართველოს კუთხებიდან აერჩიათ ერთი ცეკვა, მოეძიებინათ ანოტაცია ამ ცეკვაზე და გაემზადებინათ კოსმოსში გასაშვებად. ეს იდეა მართლაც რომ დიდებული იყო, მაგრამ ვერ განხორციელდა. თუმცა ერთი სასიხარულო ფაქტი სახეზეა – ცეკვა „ხორუმი“ ეროვნულ დონეზეა გაძეგლებული.

ვიმედოვნებ, კოლეგების თანადგომით და დაუღალავი შრომით, იუნესკო ცეკვა „ხორუმი“ მსოფლიო ძეგლთა ნუსხაში შეიტანს. მე პირადად, ცეკვა „ქართულს“ გავავრცენდი. ეს არის ეტიკეტი ქართული ქალისა და მამაკაცის, სადაც მათი ურთიერთობის კლასიკური ნიმუშია ჩაქსოვილი. ვერ მოხდა ამ ცეკვის ნაირსახეობის მოძებნა, ეს ცეკვა პოემაა სიყვარულისა.

– საინტერესო იქნება თქვენი შემოქმედებითი მოღვაწეობა სხვა მიმართულებით. პედაგოგ-ქორეოგრაფობის გარდა, კიდევ რა სფეროთი ხართ დაკავებული უნივერსიტეტს გარეთ?

– ჩემი საქმიანობა კვლავ შემოქმედებით მუშაობას უკავშირდება. ბავშვებიდანვე ნაჭრებისგან რალაცას ვქმნიდი, დღეს კი ამ გატაცებამ ბევრი ქორეოგრაფიული ანსაბლის მხატვრულ გამფორმებლად მაქცია.

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ყოველთვის ვცდილობ საცეკვაო კოსტიუმი მაქსიმალურად აუთენტურ სამოსს მივამსგავსო. შედეგით ყოველთვის კმაყოფილია მომხმარებელი.

– სამომავლო გეგმები, რომლებსაც ფიქრობთ, რომ უახლოეს მომავალში განხორციელებთ?!

– ვგეგმავთ თურქეთის პროექტის განახლებულ ვარიანტს, თუმცა ვაპირებთ ქართველი სათვისტომოების საქართველოში ჩამოყვანას, რათა დროებით სამშობლოს დავუბრუნოთ ისინი. იგივე პროექტი გვინდა საინგილოში განხორციელდეს, თუმცა რთულია. ჩამოყალიბებულია პროექტი, საჭიროა სპონსორი ორგანიზაციისა თუ კერძო პირის დაინტერესება, რათა დაფინანსება მოვიპოვოთ.

– ვიმედოვნებ, ქართულ ქორეოგრაფიაში არსებული ყველა პრობლემა უახლოეს მომავალში გადაიჭრება და შევძლებთ ხელოვნების ეს დარგი თავისი მოწოდების სიმალლეზე ავიყვანოთ.

ძალიან დიდი მადლობა გულწრფელობისთვის ქალბატონო ია.

ვფიქრობ, ინტერვიუ საინტერესო გამოვიდა. წარმატებებს გისურვებთ თქვენს შემოქმედებაში.